

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
პროფესიულ სტუდენტთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საკვალიფიკაციო კომისიის დებულება შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ №69/ნ ბრძანების პირველი დანართით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდების შესაბამისად.
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საკვალიფიკაციო კომისიის საქმიანობისა და მოდულური და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს.
3. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საკვალიფიკაციო კომისიის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციის ფლობის დადასტურება, სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრა მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, მოდულური და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ათვისების დადგენა და პროფესიულ სტუდენტთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **კოლეჯი** - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური)** - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.
3. **დუალური პროგრამა** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, რაც გულისხმობს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ის ან მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში.
4. **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი** - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში).
5. **მოდული** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს,

საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.

6. **კომპეტენცია** – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა.
7. **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად.
8. **კვალიფიკაცია** – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით.
9. **საკვალიფიკაციო გამოცდა** - დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებით;
10. **დიპლომი** – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
11. **დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად.

მუხლი 3. საკვალიფიკაციო კომისიის შექმნა

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს არანაკლებ 4 (ოთხი) წევრისაგან შექმნილი მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. საკვალიფიკაციო კომისიის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
3. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.
4. საკვალიფიკაციო კომისია იკრიბება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ჯგუფის მიერ სწავლის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

მუხლი 4. საკვალიფიკაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. მოდულური და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
2. საკვალიფიკაციო კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
3. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტის სრულად ათვისება, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულში დადებითი შეფასების მიღებით ან/და კრედიტების აღიარებით.

2. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების სრულად ათვისების ან აღიარების შემდეგ პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიის მიერ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით და დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
3. დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტის სრულად ათვისება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულში დადებითი შეფასების მიღებით/კრედიტების აღიარებითა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებით.
4. დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო გამოცდა წარმოადგენს დადასტურებული სწავლის შედეგების, მიღებული ცოდნისა და შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირებას;
5. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით შესაბამისად აღჭურვილ გარემოში;
6. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით, რომელიც უზრუნველყოფს დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებას კოლეჯისა და პარტნიორი სასწავლო საწარმოს/კომპანიის კოორდინაციით;
7. დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს არაუმეტეს 6 (ექვსი) წევრისაგან შექმნილი საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შესაძლოა შედიოდნენ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, სასწავლო საწარმოს/კომპანიის და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები ან შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტები.
8. საგამოცდო კომისიაში არ უნდა შედიოდის პირი, რომელიც მონაწილეობდა გამოსაცდელის სწავლების პროცესში.
9. საგამოცდო საკითხების შედგენას უზრუნველყოფს კომისია.
10. საგამოცდო საკითხები იდენტურია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.
11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კოლეჯის მიერ გაცემული დიპლომითა და დიპლომის დანართის გაცემის გზით.
12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ კურსდამთავრებულის მონაცემები აისახება სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 7. საკვალიფიკაციო კომისიის შედეგების გასაჩივრება

საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე შესაძლოა გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.